

შპს „ინერტული მასალების კომბინატი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2023

შპს „ინერტული მასალების კომბინატი“

შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება3

სრული შემოსავლების ანგარიშგება4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 7

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 7

3. სააღრიცხვო პოლიტიკა 7

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 11

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 13

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 13

7. ფინანსური აქტივები 13

8. მარაგები 13

9. ძირითადი საშუალებები 14

10. არამატერიალური აქტივები 15

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 16

12. ფინანსური ვალდებულებები 16

13. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები 16

14. ამონაგები 17

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 17

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 17

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 18

18. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან 18

19. პირობითი ვალდებულებები 18

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 19

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 19

22. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი 19


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	43,767	3,807
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,049,808	357,071
გაცემული ავანსები		184,472	7,774
ფინანსური აქტივები	7	652,054	-
მარაგები	8	210,891	70,230
სულ მიმდინარე აქტივები		2,140,992	438,883
ძირითადი საშუალებები	9	1,297,795	1,422,366
არამატერიალური აქტივები	10	155,954	216,027
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,453,749	1,638,393
სულ აქტივები		3,594,741	2,077,276
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,153,444	1,215,444
ფინანსური ვალდებულებები	12	2,249,363	900,233
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	13	108,031	63,205
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,510,838	2,178,882
ფინანსური ვალდებულებები.	12	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		3,510,838	2,178,882
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		83,903	(101,606)
სულ საკუთარი კაპიტალი		83,903	(101,606)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,594,741	2,077,276


 ლევან სვანიძე
 დირექტორი
 29.09.2023



 დიანა შველიძე
 ბუღალტერი
 29.09.2023


სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	14	7,148,910	3,005,308
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(6,561,997)	(2,416,904)
საერთო მოგება		586,913	588,403
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(211,218)	(244,628)
ფინანსური შემოსავლები	7	11,854	-
ფინანსური დანახარჯები	12	(146,930)	(115,373)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	-	34,110
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,306)	(945)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	18	-	(1,285)
მოგება დაბეგვრამდე		237,313	260,283
მოგების გადასახადის ხარჯი		(8,647)	(2)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		228,667	260,281
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		228,667	260,281


 ლევან სვანიძე
 დირექტორი
 29.09.2023



 დიანა შველიძე
 ბუღალტერი
 29.09.2023


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020	-	(361,888)	(361,888)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	260,281	260,281
31.12.2021	-	(101,606)	(101,606)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	228,667	228,667
განაწილებული დივიდენდი	-	(43,158)	(43,158)
31.12.2022	-	83,903	83,903


 ლევან სვანიძე
 დირექტორი
 29.09.2023


 დიანა შველიძე
 ბუღალტერი
 29.09.2023

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	194,155	260,283
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	213,641	177,042
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	1,285
ანარიცხის დარიცხვა/(შემცირება)	240	21,292
ფინანსური შემოსავალი	(11,854)	-
ფინანსური ხარჯი	146,930	115,373
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	543,112	575,274
საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	543,112	575,274
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(869,674)	(237,192)
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(62,000)	278,673
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(140,661)	225,523
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	44,826	51,360
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(1,027,509)	318,363
გადახდილი მოგების გადასახადი	(8,647)	(2)
გადახდილი ფინანსური ხარჯი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(493,043)	893,636
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(28,997)	(469,498)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(45,351)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(28,997)	(514,849)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
(სესხის გაცემა) / დაბრუნება	(640,200)	-
სესხის აღება / (დაფარვა)	1,202,200	(376,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	562,000	(376,000)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	39,959	2,786
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	(54)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,807	1,075
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	43,767	3,807

ლევან სვანიძე
დირექტორი
29.09.2023

დიანა შველიძე
ბუღალტერი
29.09.2023

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინერტული მასალების კომბინატი“ (ს/ნ 406217160) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი, N44, ბინა N25. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თერჯოლა, სოფ. ბარდუბანი და ქვედა სიმონეთის მიმდ. ტერიტორია. საწარმოს მესაკუთრეა ემზარ ასპანიძე (პ/ნ 01024016248). საწარმოს დირექტორია ლევან სვანიძე (პ/ნ 04001008199).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

გაცემული სესხები

გაცემულ სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები

სხვა საწარმოს კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არაღისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არაღისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	10 წელი
ელექტროგადამცემის საშუალებები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 4-5 წელს.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზარდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში მიღებული საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამ-დე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგეო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგეო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგეო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
1 USD / GEL	2.7020	3.0976

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,978	450
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	40,789	3,358
სულ	43,767	3,807

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,071,340	378,363
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(21,532)	(21,292)
სულ	1,049,808	357,071

კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული აგრეთვე ფიზიკური პირები. კომპანია ყველა ვადაგადაცდილებულ მოთხოვნაზე წინდახედულების პრინციპის შესაბამისად ქმნის საჭვო მოთხოვნების ანარიცხებს.

7. ფინანსური აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
გაცემული სესხები	640,200	-
მისაღები პროცენტები	11,854	-
სულ	652,054	-
	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	11,854	-
სულ	11,854	-

გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12 პროცენტს.

8. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია	21,592	53,988
დაუმთავრებელი წარმოება	19,411	-
ნედლეული და მასალები	169,888	16,242
სულ	210,891	70,230

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მზა პროდუქციის ნაშთი წარმოადგენს ქვიშა-ხრეშისა და ღორღის მარაგს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ელექტროგადამცემის საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2020	180,000	284,443	121,186	331	48,359	634,319
მატება	-	923,067	-	6,104	-	929,171
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	180,000	1,207,510	121,186	6,434	48,359	1,563,490
მატება	25,000	-	-	3,558	439	28,997
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	205,000	1,207,510	121,186	9,993	48,798	1,592,488
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
დეკემბერი 31, 2020	-	(7,038)	(10,558)	(15)	(2,382)	(19,993)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(88,826)	(24,237)	(1,051)	(7,017)	(121,131)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	-	(95,864)	(34,795)	(1,066)	(9,398)	(141,124)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(120,751)	(24,237)	(1,499)	(7,081)	(153,568)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	-	(216,615)	(59,033)	(2,566)	(16,479)	(294,693)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2020	180,000	277,405	110,628	315	45,978	614,326
დეკემბერი 31, 2021	180,000	1,111,646	86,391	5,368	38,961	1,422,366
დეკემბერი 31, 2022	205,000	990,895	62,154	7,427	32,319	1,297,795

კომპანიის მიწის ნაკვეთი (საბალ. ღირებულება 100,000 ლარი) იპოთეკით არის დატვირთული. სხვა უფლებრივი შეზღუდვები არ არსებობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

10. არამატერიალური აქტივები

	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2020	243,677	243,677
მატება / (კლება)	45,351	45,351
დეკემბერი 31, 2021	289,029	289,029
მატება / (კლება)	-	-
დეკემბერი 31, 2022	289,029	289,029
<i>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება</i>		
დეკემბერი 31, 2020	(17,091)	(17,091)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(55,911)	(55,911)
დეკემბერი 31, 2021	(73,001)	(73,001)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(60,073)	(60,073)
დეკემბერი 31, 2022	(133,075)	(133,075)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2020	226,587	226,587
დეკემბერი 31, 2021	216,027	216,027
დეკემბერი 31, 2022	155,954	155,954

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,082,996	1,109,273
მიღებული ავანსები	935	944
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	69,513	105,227
სულ	1,153,444	1,215,444

12. ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი პროცენტი	315,363	168,433
გადასახდელი სესხის ძირი	1,934,000	731,800
სულ	2,249,363	900,233

ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	146,930	115,373
სულ	146,930	115,373

კომპანიას სესხები მიღებული აქვს იურიდიული პირებისაგან. სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12 პროცენტს.

13. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მოსაკრებელი	16,039	20,492
გადასახდელი მოგების გადასახადი	97	-
გადასახდელი დღგ	136,324	46,719
გადახდილი დღგ	(116,939)	(28,925)
ქონების გადასახადი	3,293	6,212
მიწის გადასახადი	(30)	-
ერთიანი სახაზინო კოდი	69,246	18,707
სულ	108,031	63,205

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადასახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით. გადასახდელი მოსაკრებელი წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ მოსაკრებელს.

14. ამონაგები

	2022	2021
რეალიზაცია (ქვიშა 0-3)	153,264	-
რეალიზაცია (ქვიშა 0-5)	3,789,449	1,837,068
რეალიზაცია (ღორდი 5-10)	160,348	430,705
რეალიზაცია (ღორდი 5-8)	1,157,401	-
რეალიზაცია (ღორდი 10-20)	1,487,945	391,000
რეალიზაცია (ქვიშა-ხრეში)	316,224	262,472
რეალიზაცია (შერეული 0-10)	43,181	60,974
რეალიზაცია (შერეული 0-20)	34,192	14,197
სხვა	6,905	8,891
სულ	7,148,910	3,005,308

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
პირდაპირი შრომისა და მომსახურების ხარჯი	2,879,139	964,974
ტრანსპორტირების ხარჯი	1,683,199	820,339
შემძენილი ნედლეულის ხარჯი	1,646,905	350,217
ელექტროენერგიის ხარჯი	139,112	104,333
ცვლისა და ამორტიზაციის ხარჯი	213,641	177,042
სულ	6,561,997	2,416,904

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურების ხარჯი	158,675	173,237
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	240	21,292
იჯარის ხარჯი	6,000	12,000
საწვავის ხარჯი	2,564	4,669
ქონების გადასახადის ხარჯი	16,972	8,383
ბანკის მომსახურების ხარჯი	3,017	1,740
სხვა ხარჯები	23,749	23,307
სულ	211,218	244,628

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2022	2021
შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე	-	34,110
სულ	-	34,110

18. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან

	2022	2021
კურსის ცვლილების გავლენა		
ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	-	(54)
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ აქტივებზე	-	(1,230)
სულ	-	(1,285)

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განაცხადებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განაზოციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დაუფარავი ნაშთები:

	31.12.2022	31.12.2021
ვალდებულებები ხელმძღვანელობის წინაშე	22,750	16,750
მოთხოვნები ხელმძღვანელობის წინაშე	115	318
ვალდებულებები აქციონერის წინაშე	-	81,577

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:


	2022	2021
ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი	44,250	29,070
ხელმძღვანელობისგან მიღებული მომსახურება	6,000	12,000
აქციონერზე დარიცხული ხელფასი	-	1,530

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე იურიდიული პირებისაგან დამატებით მოიზიდა ფინანსური სახსრები. გაიზარდა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ოდენობაც. იპოთეკით დაიტვირთა მიწის ნაკვეთი რომელიც განმარტებულია მე-9 შენიშვნაში.

22. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 29 სექტემბერს.



ლევან სვანიძე
დირექტორი
29.09.2023



დიანა შველიძე
ბუღალტერი
29.09.2023